ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N 9

2023 წლის 15 მაისი, 13:00 საათი

ქ. თბილისი თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი - სხდომის (საბჭოს) თავმჯდომარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო რუხაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო " თავმჯდომარის მოადგილე;

ანა კაკაბაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

მარიამ ზაქარიაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ელენე დუმბაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი);

ელეონორა კაპანაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე);

მაია გეგია - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე);

ნინო ბურძენიძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებზე;

მარიკა დარჩია - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

გურამ ოქროპირიძე - საბჭოს მდივანი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ნინელი ფუტკარაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი);

თათია ჩახვაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

მამუკა ბალიაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი);

ნინო ვაშაკიძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოს II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი);

ნინო ჩიმაკაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. **მაისის თვეში დაგეგმილი ღონისძიებებისა და მიმდინარე საკითხების მიმოხილვა.**

სხდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა, მისასალმებელი სიტყვით გახსნა, დამსწრეებს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი გააცნო და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

თინათინ ნიბლოშვილმა სხდომის მონაწილეებს მიმდინარე საკითხები და საბჭოს მიერ უახლოეს პერიოდში დაგეგმილი აქტივობები წარუდგინა. საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ 29 მაისს, თბილისის საკრებულოში ქართველი ქალი პოეტის, ანა კალანდაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართება.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ გრძელდება პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ქალი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა და ამ მიზნით სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან თანამშრომლობით დაწყებული აქტივობები. მისი თქმით, №5 ქალთა სპეციალური დაწესებულების მსჯავრდებულებთან ფსიქოლოგისა და ა(ა)იპ ქოუჩინგის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის, ხათუნა მუზაშვილის სამოტივაციო შეხვედრა და მის მიერ

მსჯავრდებულებისათვის ქოუჩინგის კურსის შეთავაზება იგეგმება. თინათინ ნიბლოშვილმა საბჭოს წევრებს აცნობა, რომ უახლოესი პერიოდის დღის წესრიგში დგას ასევე შშმ პირების მშობლებთან ფსიქოლოგ ხათუნა მუზაშვილის მიერ შეხვედრების ჩატარება, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მშობლებს, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციასა და ამ მხრივ არსებული ბარიერების გადალახვაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა პროექტების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფს"-ის საქართველოს წარმომადგენლობას - "მერსი ქორფს საქართველოს" შორის მიმდინარე წელს გაფორმდა.

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ,,მერსი ქორფს საქართველოს'' ორგანიზებით, თბილისის საკრებულოში 24 მაისს გაიმართება კვლევის პრეზენტაცია და პანელური დისკუსია - ,,ქალთა მიმართ ძალადობის და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხები სამხრეთ კავკასიაში''. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კვლევა ჩატარებულია ზემოხსენებული ორგანიზაციის პროგრამის ,,ქალთა ინიციატივა უსაფრთხოებისა და თანასწორობისთვის'' (WISE) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ქალთა საკითხთა სამდივნოს მიერ და ხორციელდება აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში „მერსი ქორფს"-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა, ნინო რუხაძემ, გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ასევე სომხურ და აზერბაიჯანულ თემთა წარმომადგენლები, მიზანშეწონილი იქნება პრეზენტაციაზე მათი დასწრება, რამდენადაც, აღნიშნული საბჭოც გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქმიანობს და ეთნიკური უმცირესობებისათვის მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს ზემოხსენებული მემორანდუმის ფარგლებში გააცნო მონახაზი მორიგი პროექტისა - „ქალი ომბუდსმენი", რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ,,მერსი ქორფს საქართველოს'' მიერ ერთობლივად იგეგმება. მისი თქმით, პროექტი ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია და ის საპილოტედ დედაქალაქს მოიცავს. ქალი ომბუდსმენი ძალადობასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე მოემსახურება ქალ მოქალაქეებს თბილისის ათსავე რაიონულ გამგეობაში. პროექტის მონაწილეებს ჩაუტარდებათ მრავალმხრივი ტრენინგი, გაივლიან შესაბამის სწავლებას, რომლის დასრულების შემდგომ გამოვლინდებიან საუკეთესო შედეგის მქონე, სერტიფიცირებული კანდიდატები. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, პროექტი, განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევების მართვას, ძალადობის პრევენციასა და მის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

სხდომის მონაწილეებმა დაგეგმილ პროექტებსა და აქტივობებთან დაკავშირებით გამოთქვეს დადებითი პოზიციები და მათ განხორციელებაში ჩართულობასთან დაკავშირებით მზაობა დააფიქსირეს.

სხდომის დასასრულს, საბჭოს თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა, საბჭოს წევრებს სხდომის მუშაობაში აქტიური ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თინათინ ნიბლოშვილი

სხდომის მდივანი: გურამ ოქროპირიძე